



საქართველო GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 998/01
14/02/2023

998-01-2-202302141537



მირანდა თეთრადეს

ელ.ფოსტა: mt@mepra.gov.ge

ქალბატონო მირანდა,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მიმდინარე წლის 30 იანვარს შემოსული თქვენი #2458 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ განცხადებაში მოთხოვნილი ფორმით, მონაცემების/სტატისტიკის აღრიცხვას სამინისტრო არ აწარმოებს.

აქვე გაცნობებთ, რომ ინფორმაცია ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად) (ცალ-ცალკე ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ განხორციელებული მივლინებების მიხედვით) განთავსებულია სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდის შესაბამის ბმულზე: <https://mepa.gov.ge/Ge/FinancialAndMaterialResources> (პუნქტი 5.4).

ვინაიდან 2018 წელს, ორი სამინისტროს (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო) შერწყმა/რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია 2018 წლიდან.

პატივისცემით,

ნანა ჩინჩილაკაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტი

